



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურდოსპირელი დავით ანდუყაფარის ძე



დ. ჩხეიძე-
თურდოსპირელი

თურდოსპირელი (ნამდვ. გვარი - ჩხეიძე) დავით ანდუყაფარის ძე [23. IV (5. V). 1888, სოფ. ვარდისუბანი, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, - 23. XII. 1948, თბილისი], მწერალი, გ. ქუჩიშვილის ძმა. 1911 დაამთავრა თბილ. ქართ. გიმნაზია, 1911-15 სწავლობდა კიევის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტბე, სადაც მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ე. ნინოშვილის სახ. რევ. ლიტ. წრე, გამოიცა ურნ. „მერცხლები“. 1915 სამშობლოში დაბრუნდა და ურნალისტურ მოღვაწეობას შეუდგა; მის სახელთან არის დაკავშირებული ურნალების: „მახვილი“, „ჩვენი დროშა“, „პირველი ტალღა“ გამოცემა, მისივე თაოსნობით დაარსდა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუშაობდა მასწავლებლად სვანეთში, ფშავში, კახეთში. 1906 ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მოთხრ. "თავისუფლების მსხვერპლინი", რ-ის დიდი ნაწილი უანდარმთა სამმართველომ დაწვა; 1913 გამოვიდა მისი ლექსებისა და ნოველების პირველი კრებული „სიმთა ქვითინი“. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ თანამშრომლობდა ურნალგაზეთებთან: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „პიონერი“, „ოქტომბრელი“ და სხვ.

თ-ის მხატვრული ნაწარმოებები გამოიცა ცალკე წიგნებად (1926, 1929, 1937, 1947, 1961). აღსანიშნავია მისი საბავშვო ლექსებისა და მოთხოვნების კრებულები: „პირველი ბილიკები“ (1929), „საყმანვილო მოთხოვნები“ (1937), „საბავშვო მოთხოვნები“ (1947), წერდა აგრეთვე პუბლიც. წერილებს, რ-თაც ხშირად აქვეყნებდა სალომეშვილისა და

არგუსის ფსევდონიმებით.

თხზ.: არაბინდო, თბ., 1961; დავით თურდოსპირელისა და ალექსანდრა კრემენსკაიას
სასიყვარულო წერილები, რედ. ს. მეტრეველი, თბ., 2019; ანდაზები, თბ., 2020.

6. აღანია